ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შერჩევის კრიტერიუმები გაცვლით პროგრამაში

მონაწილე სტუდენტებისთვის

1. აკადემიური მოსწრება - 50%

- აკადემიური მოსწრება (აკადემია ბერძნულად სამეცნიერო დაწესებულებას ნიშნავს) არის სასწავლო პროცესის მოცემულ ეტაპზე მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების შეჯამებული შეფასება საგნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნებით. აკადემიური მოსწრების განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება მოსწავლის დისციპლინარული დახასიათება და ის პიროვნული თვისებები, რომელთა განვითარებაც არ არის საგნობრივი პროგრამის მიზანი;

- აკადემიური მოსწრების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება GPA (მიღებული მონაცემების საშუალო). შეფასების საშუალო არის რიცხვი, რომელიც წარმოადგენს კურსებში დაგროვილი საბოლოო შეფასებების საშუალო მნიშვნელობას დროთა განმავლობაში.

2. ინგლისური ენის ცოდნა - 20%

- ინგლისური ენის ცოდნა შეიძლება შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმით;

- ინგლისურის საერთაშორისო სერთიფიკატით (Test of English as a Foreign Language-TOEFL; International English Language Testing System- IELTS; Cambridge English Qualifications; Pearson English Language Test- PTE Academic, etc.), B2-ის ექვივალენტი;

- ინგლისური ენის, როგორც სავალდებულო საგნის, შეფასებით (კურიკულუმში არსებული სავალდებულო ინგლისური ენის შეფასება), B2-ის ექვივალენტი;

- გასაუბრების საფუძველზე.

3. მოტივაცია - 10%

- რატომ სურს სტუდენტს საზღვარგარეთ წასვლა სასწავლებლად;

- რითი დაეხმარება უცხოეთში სწავლა მას პიროვნულ და პროფესიულ ზრდაში?

- აქვს თუ არა ჩამოყალიბებული ხედვა თავის პროფესიულ მომავალზე ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ?

- სტუდენტის უპირატესობების გამოკვეთა სხვა კონკურსანტებთან მიმართებით;

- რატომ თქვენ და არა სხვა? რა უპირატესობა გაგაჩნიათ?

- რას მიიღებს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და მიმღები უნივერსიტეტი თქვენი გაშვებით/მიღებით?

- რა უნარებს განივითარებთ?
- რას ისწავლიან თქვენგან სხვა სტუდენტები (გაუსა და მიმღებ უნივერსიტეტში)?

4. მიმღები უნივერსიტეტის ენის ცოდნა -10%

- მიმღები ქვეყნის/უნივერსიტეტის ენის ცოდნის შეფასება ხდება რამდენიმე კრიტერიუმით;
- ენის საერთაშორისო სერტიფიკატით;
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისისა და ესპანური ენისა და კულტურის ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატით (ესპანური ენის შემთხვევაში);
- ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლისას გავლილი საგნის (არჩევითი ენის) შეფასების საფუძველზე;
- გასაუბრების საფუძველზე.

5. სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა - 10%

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან (აფხაზეთი, სამაჩაბლო) იძულებით გადაადგილებული პირები;
- სოციალურად დაუცველი პირები;
- საქართელოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილე ოჯახის წევრები;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები;
- ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებები. გენდერული ბალანსი - თანაბარი კანდიდატების არსებობის შემთხვევაში, პრიორიტეტი მიენიჭება მდედრობითი სქესის წარმომადგენელს;
- სტუდენტი, რომელსაც მშობლები (ან ერთ-ერთი მშობელი) არა ჰყავს.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- უმცირესობების წარმომადგენლები (რელიგიური, ეთნიკური).

გენდერული ბალანსი - თანაბარი კანდიდატების არსებობის შემთხვევაში, პრიორიტეტი მიენიჭება მდედრობითი სქესის წარმომადგენელს.